ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №898421

ნომერი: AR1155204

თარიღი : 16.08.2013

გაცემის თარიღი : 16.09.2013

გაცნობის თარიღი : 18.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადზე პირველ სართულზე კონსოლური აივნების მოწყობის და ფანჯრის ღიობის ნაცვლად კარის ღიობის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ისანი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30)–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 060/030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" ბლოკის პირველ სართულზე კონსოლური აივნების მოწყობის და ფანჯრის ღიობის ნაცვლად კარის ღიობის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" –ის თავმჯდომარის ჯემალ მიმინოშვილის განცხადება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 892012103019 საკადასტრო N 01.17.12.060.030, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, პროექტის ავტორის თანხმობა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–ისანი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30)–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 060/030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" ბლოკის პირველ სართულზე კონსოლური აივნების მოწყობის და ფანჯრის ღიობის ნაცვლად კარის ღიობის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ,რომ ვინაიდან განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს,(კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და დამუშავებული იქნას კონსტრუქციული სქემა, შესაბამისი დეტალიზაციით

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge